ტჰამბა და რედაქცია
ილისი, სასახლის ქ.,
.-აზნაურთა ქარვასლა
ს-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
იმართავენ რედაქციის დილის
საათამდე და საღამოს 6—7
. ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

სარ მოლაპარაკება რედაქ-
ითან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

უკანასკნელი წარმოდგენა

ქართული თეატრი
შაბათს 27 თებერვალს
ბენეფისი
ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასისაგან ეფ. მესხისა, რენელისა, ქ-ნ ჩერქეზიშვილისა, ვ. გუნიასი და მთელიდასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I
ახალი პიესა
სულთა-მხუთავი
დრამა 5 სრრათად. თარგ. დ. მესხის-მიერ.

II
ოხრები
ფარსი 3 მოქ. გადმ. თ. სახოკიასი და ვ. გუნიას-მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა — დასაწყისი სწორედ 8 საათზე.
ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასაში — რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

უკანასკნელი წარმოდგენა

უკანასკნელი წარმოდგენა

ტფილისი

# ახალი ამბავი

*** თანამდებობაში დამტკიცება. 22 თებერვალს ტფილისის გუბერნატორის თანამდ. ალმ. შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ გამგეობის წევრად არჩეული ხმოსანი მ. ს. შესტაკოვი დამტკიცებულია ამ თანამდებობაში. ამის გამო მ. ს. შესტაკოვმა იმავე დღეს ფიცი მიიღო ქალაქის გამგეობის დარბაზში და შემდეგ შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას.

*** ინსტრუქციის პროექტის შემუშავება გამგეობისათვის. 22 თებერვალს ქალაქის საბჭომ ხმ. კ.ნ. რეიტერის თავმჯდომარეობით, განიხილა ქალაქის მოურავსა და გამგეობის წევრს შორის მომხდარ უთანხმოების საქმე. საბჭომ ეს უთანხმოება განიხილა, როგორც გამგეობის ინსტრუქციის უქონლობის გამო და მიანდო გამგეობას ასეთი ინსტრუქციის პროექტის შემუშავება, რაც შეიძლება საჩქაროდ.

*** მოწაფეთა სამკურნალო შემოწმება. როგორც ისმის, სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მეტად დიდი ყურადღება მიაქციოს იმ მოწაფეთა სამკურნალო შემოწმებას, რომელნიც საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში შედიან. ეს შემოწმება განზრახულია მიენდოს სასწავლებლის ექიმებს ქალაქისა, საბჭოსი და ერობის ექიმებთან ერთად.

*** სამეურნეო საზოგადოების სხდომა. დღეს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნება ა. ი. სააკოვის მოხსენება „კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ". სხდომაზე დასწრება შეუძლიანთ გარეშე პირთაც.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე დ. ს. ს. შარიგინი, როგორც ისმის, დაბრუნდება პეტერბურგიდან ან ამ თვის გასულს, ან მომავალ თვის დამდეგს.

შაშნიკეთ ახალი მოსავლის ღვინოები

საქუთარ ახალ მოსავლის ღვინის ვედრო
ვინც ათ ბოთლს ერთად იყიდის დაეთმობა
1 მანათად და 80 კაპ.

შაშნიკეთ ახალი მოსავლის ღვინოები

ღვინის სარდაფი
„იყალთო"
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსია" ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
„იყალთო"
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

Винный складъ
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
„ИКАЛТО"
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—51)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

VERMOREL
nsmructeur Villefranche
ne) ვაზის შესასხურებელი
„ეკლერ" გოგირდის შე-
ელი მანქანა „ტორპილი".

შაბიამანი
macclesfield
ერთად-ერთი წარმომადგენელი
მთელს რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდონოვი. ტფილისში. (10—9)

⁂ **ბაბაშვილის მკვლელთა დასჯა.** 22 თებერვალს გაირჩა ტფილისის ოლქის სასამართლოში ფრიად საინტერესო საქმე თავ. ბარათაშვილისა, ტუსიშვილისა, ოსიტაშვილის და ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც ბაბაშვილის მოკვლა ბრალდებოდათ. სასამართლომ დამნაშავედ სცნო ოთხივენი და მიუსაჯა: პირველ სამს ოთხის წლით კატორგა, ხოლო ტერ-შმოვანოვს ექვსის თვით საპატიმრო.

⁂ **საფინანსო კომისიის პროექტი.** დღემდე ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა, წყლის მილების სახელოსნოსა, პროფესიანულ სახელოსნოსა და ქალაქის ლომბარდის შემოსავალ-გასავალი არ შედიოდა ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში და ფულები ამ დაწესებულებებიდან შეჰქონდათ ქალაქის კასაში მხოლოდ საანგარიშო წლის დამლევს. ამ ჟამად საფინანსო კომისიას ქალაქის 1899 წ. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში ჩაურთავს აღნიშნულ დაწესებულებათა შემოსავალი; ამ დაწესებულებათათვის საჭირო ხარჯი გაიცემა ქალაქის საზოგადო კასიდან; ამის გამო შესაძლებელი შეიქნება იმ პირთა შტატის შემცირება, რომელთაც აბარიათ ამ დაწესებულებებში ფულის საქმე.

⁂ **ქუჩების უსუფთაობის გამო.** ტფილისის პოლიცმეისტერმა 22 თებერვალს ბრძანება მისცა ბოქაულს ლოლაძეს ყურადღება მიაქციოს მე-4 ნაწილის ქუჩებისა და ქვა-ფენილების უსუფთაობას, რომელიც, პოლიცმეისტერის აზრით, აიხსნება მხოლოდ ბოქაულის უყურადღებობით.

⁂ **ბილეთების გაყიდვის განახლება.** რადგან საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლა უკვე აღადგინეს, ამის გამო 21 თებერვლიდან განახლდა ბილეთების გაყიდვა აღნიშნულ გზით მოგზაურ პირთათვის. 22 თებერვალს გაგზავნეს ტფილისიდან კავკავში პირველი ვადიანი კარეტა.

⁂ **შუამდგომლობის შეუწყნარებლობა.** ტფილისის ქალაქის თვით მართებლობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მას ნება მიეცეს გამოსცეს თვეში ორჯერ „ქალაქის საბჭოს ამბები“ არ შეიწყნარა საგუბერნიო მთავრობამ.

⁂ **სოფლების საერთო თხოვნა.** თელავის მაზრის ს. შაშიანის მცხოვრებლებმა საერთო თხოვნა წარუდგინეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნენ ისინი საკომლო და სხვა სახელმწიფო გადასახადების იმ ნაწილისაგან, რომელიც მოუწევდათ გარდაცვალებულ კომლთ.

⁂ **სახლის დაწვა ქ. ფოთში.** 15 თებერვალს დაიწვა ფოთში ცნობილის ტყის მწარმოებლის გ. დიდიას სახლი. როგორც ისმის, სახლი დაზღვეული იყო, და დიდიას დიდი ზარალი არ მიეცემა, მაგრამ მდგმურები კი მშრალზე დარჩნენ და ძლივს მხოლოდ ბავშვები გადაარჩინეს. 18 იანვრიდან, ე. ი. ერთი თვის განმავლობაში, ეს მეოთხე სახლი დაიწვა ფოთში.

⁂ **კაცის დაჭრა.** 21 თებერვალს, შუაღამის 12 საათზე, პოლიციის მე-5 ნაწილში გორის მაზრის დ. სურამის აზნაური ივანე აბაზაძე მთვრალი მიდიოდა სომხების ბაზარზე და ჩხუბი აუტეხა სევანოვის ნოქარს ალექსანდრე მათეშვილს, რომელიც მაღაზიიდან გამოვიდა კარების დასაკეტად. შენიშნა თუ არა მათეშვილმა აბაზაძეს ქამარზე ხანჯალი, ხელი წაავლო ხელზე, მაგრამ აბაზაძე დაუსხლტა ხელიდან, იძრო ხანჯალი და დასჭრა მათეშვილი. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო დამნაშავე კი შეიპყრეს. ჭრილობა ექიმებმა არა სცნეს საშიშოდ.

⁂ **მიმოსვლის შეწყვეტა.** თიონეთსა და ტფილის შუა ეტლებით მიმოსვლა დიდი თოვლისა და ზვავების გამო შესწყდა.

— ხონსა და ქუთაისს შუა გზა უკვე გახსნილა.

— ქუთაისსა და ონს შუა ფოსტის მიმოსვლა განახლდა.

— ზეკარის უღელტეხილზე საღვურ რიონისაკენ მიმავალი გზა შეკრულია ზვავებით და ნამქერით.

⁂ **მთაწმიდის ამბები.** უსაქმოდ მოხეტიალე ყმაწვილების თავ-გასულობა. მთელი მთაწმინდა დაქსაქსულია უქმად მოხეტიალე ვაჟბატონებით, ხოლო მათი უმეტესობა თავისუფლად დანავარდობს ჭავჭავაძის ქუჩის ზემოთ, ეს მეტად მოხდენილი ადგილია მათთვის, რადგანაც აქ მეთვალყურე თვეში ერთხელაც არ გაივლის, და ვინ მოსთვლის, რას არ სჩადიან.

დილიდან საღამომდე დადიან ბანებზედ ჯგუფ ჯგუფად, თავიანთ სიცოცხლეს ატარებენ კოჭებისა და ბანქოს თამაშში ხან-და-ხან, როდესაც დღე ვერ კმაყოფილდებიან თამაშით ხშირად ღამეებსაც ათენებენ ბანებზე, მიუხედავად ამინდისა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ უსაქმოთ მოყიალე ყმაწვილებს აჰყოლიან სხვა და სხვა სასწავლებლის მოწაფენი. ყველა ამ ყმაწვილების გინება-ყვირილისა და უწესრიგობისა გამო აქაურ მცხოვრებლებს მოსვენება არა გვაქვს. ხანდახან უდანაშაულოდ ჰიადგებიან ხოლმე პატიოსან პირებს და ლანძღავენ. მაგ. ამას წინად ერთმა იმათგანმა ბ—ძემ გალანძღა სულ უდანაშაულოთ ერთი აქაური ვ. თედ—ვი, რომელიც თავის სახლში იმყოფებოდა. სასურველია, მიაქციან ყურადღება ამ უსაქმოდ მოხეტიალე ყმაწვილების თავგასულობას და უწესრიგობას.

— **უსუფთაობა.** აქაური უსუფთაობის მიზეზი დღემდე იყო და არის კიდეც უარხობა. აქაური მცხოვრებლები ჰუჰყიან ნარეცხ წყალს არხის უქონლობის გამო უადგილო-ადგილას ღვრიან, საიდანაც ცუდი სუნი ადის და აფუჭებს ჰაერს, რაც დიდათ მავნებელია ჯანმრთელობისთვის. ჩვენდა სამწუხაროდ ამას ზედ დაემატა აქაური მემამულის ბუჩ—ძის დგმურების უსუფთაობა... ხსენებულს მემამულეს აქ სახლი აქვს, რომელიც მიუქირავებია მუშა „კრუებისთვის“. ორ პატარა ოთახში დგანან 18 მდე მუშა და, რადგანაც სახლის პატრონი მოკლებულია ფეხის ადგილს, მის მდგმურებს ფეხის ადგილად გაუხდიათ ქუჩები ᲓᲐ სხვა-და-სხვა უადგილო ადგილები. საჭიროა მიაქციოს ყურადღება, ვისიც ჯერ არს, ამ გარემოებასაც.

ხონელი.

⁂ **ს. მუხრანი.** გაძარცვა. „ახ მიმ.“ ს სწერენ: 17 თებერვალს დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანსა და სად. ქსანს შუა, სოფ. ციხის ძირში ციხის მახლობლად, „ბოსელა-ხევში“ გაძარცვეს ებრაელი, რომელიც ქსანის ხეობაში საქონელს ვაჭრობდა. ებრაელს მოეგროვებია ფული და წამოსულა ტფილისში ვაჭრებთან ანგარიშის გასაწმენდად, მაგრამ გზაში. აღნიშნულ ადგილზე, ის შეუჩერებიათ ორ ვიღაც უცნობ პირს, როგორც ამბობენ, თათრებს. ბოროტ მომქმედთ წაუქცევიათ ებრაელი, თავს დასდგომიან დამბაჩით და წაურთმევიათ მთელი ის ფული, რომელიც მას თანა ჰქონია, სულ 1,660 მანეთამდე. გარდა ამისა, ებრაელს ხურჯინში ჰქონია 300-ას მანეთამდე მეტი ვერცხლეულობა, რომელიც აგრეთვე წაურთმევიათ მისთვის. ებრაელი ამბობს, მე ერთ-ერთი გამცარცველის თათრის სახე მახსოვსო. ასეთი შემთხვევები აქეთ მხარეს წინადაც ყოფილაო, დასძენს კორესპონდენტი.

⁂ **ქართული საღამო კიევში.** პეტერბურგის, მოსკოვის და დერპატის ქართველ სტუდენტებთა მიხედვით, წელს გარდასწყვიტეს [...]ვის სტუდენტებმაც ქართული [...]ღამოს გამართვა. მოიწვიეს ბალ[...] ჩივაძე, რომელმაც შეადგინა [...]რო ქართველ-პოლონელ და რ[...] სტუდენტებისაგან. გავრცელდა [...]არა ხმა, რომ 5 ს თებერვალს [...] და იქმნას გამართული ქართუ[...] საღამოო, ყველას დიდათ ესია[...]ნა ეს ამბავი და მთელი კვი[...] განმავლობაში 5 ს თებერვლამ[...] ლაპარაკის საგნათ შეიქნა [...]გორც პრესისა, აგრეთვე საზ[...]დოებისა. კიევის საზოგადო[...] უფრო მეტის ინტერესით მ[...]ლოდდა ქართულ საღამოს ვი[...] უკვე მოხსენებულ ქალქებ[...] 5 თებერვალს გაიმართა ქართუ[...] საღამო ვაჭართა კლუბის დარ[...]ში. იმისდა მიუხედავად, რომ [...]ლეთები კარგ ფასათ იყიდებო[...] აუარებელი ხალხი დაესწრო. შეხვდებოდით ყველა წოდების [...]ეროვნების ხალხს ყველას უნ[...] და რამდენიმე ხნით მისცემ[...]ოცნებას, წარმოედგინა, რომ [...] შუაგულ საქართველოშია, სა[...] ესმის მას ივერიის მამულის[...]ლების სიმღერა და ხედავს [...] გასაშტერებელ ცეკვა-თამაშს.

ქართველებთაგან, სტუდენ[...]ბის გარდა, დაესწრნენ თ. გ[...]რალი ჭავჭავაძე სახლობით, პ[...] კოვნიკი მაჭუტაძე სახლობ[...] მესხიშვილი და სხვ.

სტუდენტებს, რომელნიც [...] წილეობას იღებდნენ საღამო[...]მართვაში ეცვათ ჩოხები და [...]ლაჯები. დარბაზი აზიურ გე[...]ნებაზე იყო მოწყობილი.

საღამო დაიწყო რუბინშტე[...] ოპერით „ფერამორს“, რომ[...] ნაწილი სტუდენტების ორკე[...]მა შეასრულა. შემდეგ იმღ[...] „შევსვათ წითელი“, „ლი[...] გაზაფხული“, რომლებიც ძა[...] მოეწონა საზგადოებას. მოწვ[...] არტისტებმა შეასრულეს რამდ[...] მე რომანსი ბალანჩივაძესი. [...]კეთესოდ შეასრულა ზოტ[...] ქალმა — „აღმართ-აღმართ მივე[...]დი“. შემდეგი ნომრებიც ხალხს[...] წონა „ფაცხა“ და „გოგონა“, მა[...] საუბედუროთ „ფაცხა“ ცოტ[...] ღერეს. საზოგადოთ, უნდა [...]ვათ, რომ ნამდვილი ქართ[...] სიმღერები იმღერეს ძალიან [...]ტა და რაც იმღერეს ჩქარ[...] მოკლეთ. ამასთან ანტრაქტებ[...] საშინელი დიდი, ასე რომ [...] მოთმინებიდან გამოდიოდა. [...] ამ მოხსენებულმა გარემოებ[...]რაფერი შთაბეჭდილება მოახ[...] ხალხზე, რომელიც მუსიკა[...] განყოფილების შემდეგ მოუ[...]ლათ მოელოდა ლეკურის თა[...] რომელმაც მართლა გაამხია[...] საზოგადოება.

საუკეთესოდ ითამაშა ლე[...] თავ. ანდრონიკაშვილმა. ითა[...]

ლებითაც, დაუარეს აზხაზუ-
და კინტოურიც. ქალთაგან
ულით ითამაშა ლიანგის ქალ-
რომელსაც თავი ეხურა. თამა-
და მკვირცხლათ, ქართველ
ებთაგან, ითამაშეს მ—ძის ქალმა
ბუნიძის ცოლმა, რომელიც
ულ კაბაში იყო გამოწყობი-

ურის შემდეგ გაიმართა ევ-
ული ცეკვა-თამაში. დირი-
თ იყო მეფისაშვილი, ქულა-
გამოწყობილი.
ზოგადოების თხოვნით, ლე-
რამდენჯერმე გაიმეორეს.
ს ნახევარზე დაიშალა საზო-
ება, საკმაოდ ნასიამოვნები
ირველ ქართულ სალამოს.
მდეგ პირობანი კი, რომ ასრუ-
ულ ყოფილიყო, საზოგადოე-
ლტაცებული დაიშლებოდა.
უნდა ეგალობნათ მომეტებუ-
ტიპიური ქართული სიმღე-

ანტრაქტები ისე დიდი არა
ლიყო. თავი და თავი კი ის
, რომ სალამო გამართული
, არა სუყველა ქართველ კი-
მყოფ სტუდენტების მიერ,
ედ მათის ნაწილისა. ვინც მო
ლეობას არ იღებდა იმათ ფუ-
გადაახდევინეს, რის გამო
ო ვერც კი დაესწრო.
დლობის ღირსია ბალანჩივაძე,
ელიც მუდამ ასრულებას სტუ-
ტების თხოვნას და მხურვალე
წილეობას იღებს ქართულ სა-
ს გამართვაში. მადლობის
სნი არიან ის სტუდენტები,
ლებმაც მიიღეს მხურვალე მო-
ლეობა სალამოში, გამსჭვა-
ლნი არა იმ აზრით, რომ თავი
ნოთ სალამოშიო, არამედ სიმ-
ური მოსაზრებით, კარგათ
ცნოთ თავი საზოგადოებას და
ამ სტუდენტებს შევეწიოთო.
ოვე მადლობის ღირსნი არიან
შე ქართველებ შორის ბ-ნი
აბერიძე, რომელიც ეხმარე-
ა სხვა კომერციულ საქმეში.

დ ზ—შვილი.

* ს. შემოქმედი. (გურია)
ისაგან შეწუხება. აქ სადაც სა-
ო დუქნები, სასოფლო კან-
არია და სკოლა არის, მახ-
ლათ ჩამოდის მდინარე „ბჟუ-
რომელიც ხშირად დიდდება
დის ზარალს აძლევს ადგი-
რივ საზოგადოებას. ეს მდი-
ჰყოფს ამ საზოგადოებას ორ
დ: გაღმა მხარედ და გამოღ-
და როცა ადიდდება, მაშინ
ელობა ერთი სოფლიდან მეო-
ყოვლად შეუძლებელია რამ-
მე დღით, ამის გამო ჰირსა
ლხინში სოფლელები ერთმა-
ველარ სწვევიან. შეიძლება
იროთ: ნუ თუ მთელმა საზო-
გადოებამ ვერ შეიძლო მკვიდრი ხიდის გაკეთებაო?! როგორ შეიძლოს, როცა სხვა-და-სხვა გვარი სახელმწიფო ბეგარით სული სძვრებათ. გარდა ამისა, ისიც საგულისხმოა, რომ ამ მდინარეს არ აქვს ისეთი ნაპირი, რომ ზედ მკვიდრი ხიდი გაკეთდეს წყალში ურმით სავლელი ალაგი არის, მაგრამ გლეხს ძლიერ ეშინიან იქ გასვლისა, რადგან ხშირად წაუღია წყალს ურემი, ხარი და მისი პატრონიც. ამას წინად იაგორ მამინაშვილი შეუდგა მკვიდრი ხიდის გაკეთებას, ამოიყვანა სამი ქვის ბოძი, გააკეთა მშვენიერი და მკვიდრი ხიდი, დახარჯა ზედ რამოდენიმე ათასი მანეთი, მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე და ეს ხიდი იმსხვერპლა წყალმა. მხოლოდ ერთი ბოძი დაანგრია, სხვა მასალეპი-კი შეურყევლად დარჩა. დახეთ სოფლის უგუნურებას! აჰყვნენ გაიძვერა აზნაურებს, და ყველამ თავთავისათვის დაიტაცა ეს სხვისი გაკეთებული ხიდი. ეხლა, როგორც გავიგე, ბ. მამინაიშვილი ხელ-ახლავ აპირებს ბოძის აღდგენას, არ უშინდება ხარჯებს და არ აქცევს ყურადღებას სოფლის უმეცრებას, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

ჯოჯოხეთელი

** **ჩოხატაური** (გურია). სამკითხველოს საქმე. თუმცა ბევრი გულშემატკივარი არა ჰყავს ჩოხატაურის სამკითხველოს, მაგრამ მისი ბედ-იღბალი მაინც მიჩანჩალებს წინ. ამასთან უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ. სამკითხველოში ზოგიერთი წიგნი 10—15 ცალს აღემატება; ურიგო არ იქნება მისი მეთაურები ამ წიგნების ორ-სამ ეგზემპლიარს დაიტოვებდეს, დანარჩენს ფულად აქცევდნენ და სხვა და სხვა ახალ წიგნებს შეიძენდნენ. ურიგო არ იქნება ერთი კარგი კატალოგიც რომ ჰქონდეს წიგნთსაცავს...

— მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნ გოგოლი მდივნის ასულს ბერეჟიანისას, რომელმაც კეთილ ინება და ჩოხატაურის ღარიბ სამკითხველოს შემოსწირა 3 მან. და ისურვა იქვე წევრობა.

ან. ქლენტი

** **ს. ეკი** (სამეგრელო). 120 წლის კაცი. ს. ეკში სცხოვრობდა ერთი 120 წლის კაცი ანდრია წულეისკირი. თუმცაღა ეს მოხუცი ხნიერი იყო, მაგრამ ზოგიერთ ეხლანდელს ყმაწვილ კაცებს არაფრათ ჩამოუვარდებოდა. მუშაობა თუ სიარული მას სრულიად არ ეზარებოდა. ცხენზე ჯდომაც კარგი იცოდა. არავითარი სნეულის სისუსტე არ ჰქონდა, იშვიათად თუ გახდებოდა ავად, მაგრამ საბრალო წარსულ იანვრის უკანასკნელ რიცხვებში გარდაიცვალა. მისმა შვილებმა, სწორედ ღირსეულად დაასაფლავეს იგი, როგორც განსვენებულის სურვილიც ყოფილა...

— ავადმყოფობა და ავდარი. სწორედ საქმე გაუჭირა აქაურებს წრევანდელმა წელიწადმა. მართალია აქაც ბუდობს სხვა და სხვა ავადმყოფობა, მაგრამ სიკვდილით იმდენი არა კვდება, რამდენიც სხვაგანა, თითქოს ადამიანის სიკვდილის სეზონი იყოს. სამეგრელოში იშვიათად იქნება ისეთი დღე, რომ 5—10 ადამიანი არ დაასაფლავონ. თებერვალს და ვთარი დაებნა, რაც იგი დადგა, მას აქეთ ერთი მზიანი დღე თვალით არ დაუნახავს ადამიანს. სულ წვიმები და თოვლ-ჭყაპი მოდის...

ტელეფონი

** **ქ. ზუგდიდი.** (სამეგრელო) მთელი დედამიწის ზურგზე ძვირად თუ მოიპოვება ასე უხვლოდ უხვად გამრავლებული თუთის ხეები, როგორც სამეგრელოში. განსაკუთრებით ზუგდიდის მაზრა ხომ სამშობლოა თუთის ხის: აქ ისე ფეხს ვერ დაიცლით, რომ არ შეხვდეთ ახალი, ნორჩი, დიდი თუ პატარა ბეოლის ხეებსა. აი მიზანი იმისა, რატომ ეკიდებიან ასე გულმოდგინებით ჩვენი ქალები მეაბრეშუმეულობასა, სიმიდის ფესის დაწევის შემდეგ. ამ დროებით ერთად ერთი სახსარი ცხოვრების გლეხის ოჯახისა ამაში იკვანძება: კაცი თუ ქალი დიდი თუ პატარა მოუთმენლად მოელის გაზაფხულს, რომ მაშინ ხელში იგდოს კარგი კარობკა და მისი გამოსავლით დააკმაყოფილოს შინაური მოთხოვნილება. აკი არ აუსრულა გულის წადილი ვიღაც ბერძენმა: მოიტანა ბლომად თესლები და დაურიგა კომისიონერებს. ისინი კი მიჰყვნენ დაუყოვნებლივ სოფელში მიჩეჩებას და კიდევაც დაარიგეს რამოდენიმე კარობკა თესლი. ნეტავი ვიცოდეთ როგორია თესლი?—ალახმა უწყის კარგია თუ ცუდი, კავკასიის საბრეშუმო სადგურის ბეჭედიც კი აკვრია... ვაი თუ საწყლები პირ-ჩალა გამოვლებული დარჩნენ ამ ვაჭარ წურბელაების მეოხებით. საფიქრებელიც არის.

როგორც ვიცით იმერეთში შემდგარია რამდენიმე „მეაბრეშუმეთა ამხანაგობა“, სადაც სპეციალისტები იღვწიან მეაბრეშუმეობის წინ დასაყენებლად და თესლს ამზადებენ ხელოვნურად იმ მიზნით, რომ სამშობლოს არგონ და მით ხელი შეუწყონ ამ სასარგებლო ღირს მეურნეობას, მაგრამ საინტერესოა ვიკითხო სად მიდის ეს თესლები, საზღვარ-გარეთ თუ აქვე სადდება? რადგანაც ჩვენ ცოტასა ვხედავთ, კარგი იქნება, რომ პატივცემული საზოგადოება დაავალებდეს ხოლმე სოფლის სკოლათა მასწავლებლებს თესლთა დარიგებას თავიანთ საზოგადოებაში, რომლითაც დიდ სიკეთეს უზამს ბნელ ხალხს.

სასურველია აგრეთვე „კავკასიის საბრეშუმო სადგურის“ მმართველი გამოგზავნიდეს ერთ თავის მცოდნე წევრს გასასინჯად ზუგდიდში შემოტანილ თესლებთა და მით აგვაცდენდნენ უვარგისს აბრეშუმის ჭიის თესლსა.

ლუკა ხუნწარია

## სხვა-და-სხვა ამბავი

მეშვიდე საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი ემილ ლუბე. საფრანგეთის ჩრდილოეთის მხარეს დრომის სადეპარტამენტოში, მონტემილარის ქალაქის მახლობლად, სოფელ მარსანში დაიბადა ამ სამოცი წლის წინად ემილ ლუბე, ესე იგი 31 დეკემბერს 1838 წელს. ლუბეს მშობლები ჩამომავლობით გლეხები იყვნენ. მამა მისი მხვნელ მთესველობას მისდევდა და სოფელ მარსანის მამასახლისადაც იყო ამორჩეული, დედა მისი დღესაც თუმცა 83 წლის დედაკაცია, მაგრამ მეოჯახეობას მისდევს და იმისი სიმხნევე იქამდის მიდის, რომ პურს თვითონვე აცხობს. პურის ცხობის შესახებ მთელი ანექდოტია დარჩენილი ლუბეზე. როდესაც ლუბე პირველი მინისტრის თანამდებობაში იყო, დილით თავის დედის სანახავად შევიდა და ნახა, რომ ემილის დედა ცომსა ზელდა. რა დაინახა მოხუცებულმა დედამ შვილი, მიმართა ღიმილით: „შვილო ემილ,— შენის აქ მოსვლით ვისარგებლე: მე ძალიან მოხუცებული ვარ და ცომს რიგიანად ვეღარ ვზელავ, მოდი ერთი და ცომის დაზელვა მიშველეო“. პირველმა მინისტრმა გულ-წრფელად უპასუხა: „დიდის სიამოვნებით, დედაჩემო“. გაიხადა მაშინვე სერთუკი, გადიმკლავა მაჯები და დაიწყო ცომის ზელვა. ემილ ლუბეს ბავშვობის ცხოვრებიდგან აი კიდევ რას მოგვითხრობენ. როდესაც პირველად 8 წლის ემილი პანსიონში მიიყვანეს, ჩვეულებრივად ამხანაგებმა მასხარად აიგდეს და დასცინოდნენ. პატარა ემილი არც დასაბეზღებლად წავიდა, არც იტირა, მიდგა სკოლის ოთახის კუთხეში, ამოიღო კალმის დანა ჯიბიდგან და ხელის ხმით მიმართა ამხანაგებს: „არ მომეკაროთ, თორემ დანა გიჩხვლეტთ“. ამ გვარი ცხოველი მიდრეკილება თვით მეფარველობისა ლუბეს დღევანდლამდის შერჩა. როდესაც პრეზიდენტად ამოარჩიეს და ვერსალიდგან დაბრუნდა, მას მოწინააღმდეგეთა ურიცხვი შემოესმა

ხალხში, დუბე მიუბრუნდა მათ და უპასუხა: „მე გავატეხ იმ ხალხს, რომელიც გულ-კეთილად მრაცხავს ჩემის ძლიერის წინააღმდეგობით“... კურსი დაამთავრა ექიმის ხარისხზედ, თუმცა პრაქტიკულად კი ვექილობას მიჰყო ხელი და შემდეგ ვექილობის დიპლომიც მიიღო. შემდეგ თავის სამშობლო ქალაქში—სედანას შემდეგ—ქალაქის მოურავად იყო ამორჩეული. შემდეგ მიიღო საგენერალო რჩევის თავმჯდომარეობა. 1876 ამორჩეულ იყო ქ. მანტელიმარში დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ და ეკუთვნოდა ზომიერ რესპუბლიკის დასს. ამ თანამდებობაში დაჰყო 1885 წლამდე და შემდეგ ამორჩეულ იქმნა დრომის დეპარტამენტისაგან სენატორად და ამ უკანასკნელ ჟამამდე ამ თანამდებობაში იმყოფებოდა. დუბე დიდ ყურადღებას აქცევდა ეკონომიურ და საფინანსო საქმეთ და გატაცებით ცდილობდა სახალხო განათლების გავრცელებას. დუბე დიდის ენერგიით იცავდა გამბეტას და ჟიულ ფერრის სამინისტროს, სადაც ერთხანად მარცხენა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეობასაც ასრულებდა და უოგუდთვის ზომიერ ლიბერალთა აზრისა იყო.

## რჩეული აზრები

რომელმა კაცმაც ვნება მოქცეს, შენი სიყვარულის მფარველობის ქვეშ იყოლიე.

მუშაკობა—ცხოვრებაა; აზრი—სინათლე.

ვუსურვოთ ყველას კეთილი, მაშინ სუყველაფერი შეიცვლება და ნათლად დავინახავთ ჭეშმარიტებას.

იმ გალობას, რომელსაც ბავშვი აღტაცებაში მოჰყავს—ბავშვისავე ყიჟინი იქნება.

გულში აღძრულს ტანჯვას ისე ვგრძნობთ, როგორც ჩვენს მახლობელს, მშობლიურს.

კეთილის გზიდან რომ ერთი ნაბიჯი აუქციო, უფსკრულში შთაინთქები.

მე სულ ვამტკიცებ, რომ სიმდიდრე მძიმე ტვირთია და ვიდრე არ გავმდიდრდები, სიღარიბეს ტვირთად ვერ ვუწოდებ.

## ყურმოკრული საუბარი

— თქვენ რომელი საღამო უფრო მოგწონთ, სალიტერატურო თუ მუსიკალური?

— როდესაც სალიტერატურო საღამოს ვესწრობი, მაშინ უფრო მუსიკალური მომწონს და როცა მუსიკალურზე ვესწრები, მაშინ სალიტერატურო.

— გუშინ თქვენთან ვინ იყო?

— ერთი გამოჩენილი მილიონერი. მამაჩემს სურს იმას მიმათხოვოს.

— ბედნიერი ხარ! რადას აგვიანებ? რას ელი?

— ველი ხელი მთხოვოს.

— შენ თითქო ქმართან გაყრას აპირებდი?

— ვაპირებდი, მაგრამ ისევ თავი დავანებე.

— შერიგდით?

— ოო, ღმერთმა დაიფაროს! მე შევნიშნე, რომ თუ გავეყარე, ჩემი ქმარი ბედნიერი იქნება და იმის გულის გასახეთქად უარ ვყავ ჩემი განზრახვა.

## გასართობი

მღვდელს სახარებაში დანიშნული ჰქონდა ლენტით ის ადგილი, რომელიც უნდა წაეკითხა; მედავითნემ ეს ლენტი ამოიღო მღვდლის შეუმჩნევლად. როდესაც მოაწია სახარების წაკითხვის დრო, მღვდელმა დაიწყო: „სთქვა უფალმა“. გადაშალა წიგნი, მაგრამ დანიშნულ ადგილს ვერ მიაგნო და ისევ განაგრძო „სთქვა უფალმა“... ამ სიტყვებს ამბობს და თან გამეტებით დაეძებს. ამ დროს ცბიერად მედავითნემ ჰკითხა: „მ. მღვდელო რა სთქვა უფალმა?—„ჩემ დიაკონს დალეუპა და ამოგდება“, ლენტი ამოუღია ამაშიო, მიაძახა გულ-მოსულმა მღვდელმა.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

20 თებერვალი

**პარიზი.** პარიზისა და ლონდონის კაბინეტები შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთს იგივე უფლება მიეცემა მასკატში ნახშირის საწყობი იქონიოს იმ პირობით, რა პირობითაც ინგლისსა აქვს.

**მადრიდი.** სილველასთან დაახლოვებული კაცები ამბობენ, რომ დედოფალს შეუძლიან დაამტკიცოს ხელ-შეკრულება შეერთებულ შტატებთანაო. პალატები დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნებიან. ახალი კორტესები პირველ პალატაში შეიკრიბებიან: ეს საჭიროა, რომ ფინანსების შესახებ კანონები საფინანსო წლის გასვლამდე იქმნენ შეწყნარებულნი.

**მადრიდი.** ახალი სამინისტრო დაარსდა. მინისტრებმა დღეს დილით ფიცი მიიღეს. სენატის პრეზიდენტად ინიშნება მარტინეც-კამპოსი, პალატის პრეზიდენზად—პიდალი.

21 თებერვალი

**პეტერბურგი.** ჟურნალის „Вѣст. Европы“-ს მავნებელ მიმართულებისა გამო, რომელიც არა ერთხელ აღმოჩენილა წერილებში—ფინლიანდიაში მთავრობის მიერ ახალ კანონ-მდებლობის შემოღების შესახებ, განსაკუთრებით-კი მეხელინის წერილში „ახალი წიგნი ბ-ნ ელენევისა და ზოგიერთი შესწორება“, (ეს წერილი დაბეჭდილი იყო ჟურნალის 1898 წლის მეთორმეტე ნომერში) და წერილში „საზოგადო ქრონიკიდგან“, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ წლის მეორე ნომერში—შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბძანა: გამოეცხადოს „Вѣстн. Европы“-ს ჟურნალს მეორე გაფრთხილება.

22 თებერვალი

**მოსკოვი.** რიგა-ორლოვის რკინის გზის სადგურზედ, როდესაც სახალხო მატარებელი № 6 მიდიოდა მე 3 კლასის ვაგონში გასკდა ის ჭურჭელი, რაშიაც ბენზინი იყო, რის გამც ვაგონს ცეცხლი წიეკიდა. 5 მგზავრი დაიწვა და 11 დაშავდა.

**ტულონი.** დილით $2^1/_2$ საათზედ, ლაგუბრანში, ლა-სეინისა და ტულონს შუა აფეთქდა სარდაფი, სადაც თოფის წამალი ინახებოდა. დაიხოცნენ ყველა ჯარის კაცები, რომელნიც სარდაფში იყვნენ. ბევრი იმსხვერპლა აფეთქებამ უბნის მცხოვრებელნიც, რომელთა სახლებიც სრულიად გაანადგურა. მიზეზი აფეთქებისა არ იციან.

**ტულონი.** ამბობენ, რომ ტულონის სარდაფში ინახებოდა 50,000 კილოგრამმა თოფის წამალიო. მოკლულ იქმნა 60 კაცი, დაშავებულ 110 კაცი. მთელი უბანი განადგურებულია.

**რომი.** პაპის ჯანმრთელობის შესახებ იუწყებიან, რომ ღამე კარგად იყოო. Don chrlsciotte-მ განაცხადა, ღამე ხმა გავრცელდა, რომ პაპი ცუდათ გახდაო, ზოგი ამასაც ამბობდა გარდაიცვალაო, მაგრამ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულიაო.

**პეკინი.** ძუნ ლი-იამენმა უარჰყო იტალიის ელჩის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ იტალიას სანსმუნში საზღვაო სადგური დაეთმოს. ამ გარდაწყვეტილებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ, რადგანაც ცნობილია, რომ იტალიის მთავრობა უკან არ წაიღებს თავისს მოთხოვნილებას და, ეჭვი არ არის, მოლაპარაკება ჩვეულებრივ დონეზედ დადგება.

**რომი.** ხმა დადის, რომ კონტრ. ადმირალი გრენე ნეაპოლიდგან ჩინეთში მიდის, რათა უფროსობა გაუწიოს იმ იტალიის გემებს, რომელნიც ჩინეთის ზღვებში არიანო.

**ბრიუსელი.** დედოფალი უფრო ცუდათ გახდა. უავგუსტოესის ავადმყოფის მორჩენის იმედა ნაკლებადა აქვთ. დედოფალმა წმ. საიდუმლო მიიღო.

**ტულონი.** გამოძიებამ ვერა[...] რი ვერ გამოარკვია, მაგრამ მა[...] აფეთქება ბოროტ-განზრახვით [...] უნდა მომხდარიყოს. არ დამ[...] მახლობელი თოფის წამლის ს[...] დაფები.

**ტულონი.** ამ ჟამად 70 [...] ლულის კაცის გვამი წაიღეს ზ[...] საავადმყოფოში, ზოგიც მათ ს[...] ლებში. 7 ჯარის-კაცთაგან, რ[...] მელნიც დარაჯებად იყვნენ ს[...] დაფში, მოკლულ იქმნა 4, დან[...] ჩენი სამი მძიმედ დაშავდა. 2 [...] ლომეტრის მანძილზედ გარეშ[...] ყველაფერი განადგურებულ იქ[...] აფეთქებამ სახლები მიანგრ-მო[...] გრია, მინდვრები აათხრა. თ[...] ტულონიც-კი დააზიანა: აფეთ[...] ბის ადგილიდგან 4 კილომეტ[...] სიშორეზედ სენ-ჟანში კარები [...] ფანჯრები ჩალეწა.


## განცხადებან[...]

გამოვიდა და ისყიდება ყველგა[...]

„ამხანაგი[...]

უბის წიგნი და კალენდარი

ფასი 25 კაპ.

ვინც დაიბარებს არა ნაკლ[...] ათის ცალისა, ნაღდ ფულზე [...] თმობათ თითო აბაზათ. ად[...] Квирилы, Ивану Ардишвили.

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია[...]

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2[...]
ალექსანდრე ეპისკოპოსი 2[...]
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . 2[...]
პატარა ბიბლიოთეკა . . 2[...]

ვინც ცალს ას გამოიწერს, [...] ნეთზე დაეთმობა ორი აბაზა[...] მსურველს მიჰმართავენ „ცნობ[...] ფურცლის“ რედაქციას. (30—[...]

ისყიდება ყველა ქართულ წიგ[...] მაღაზიებში

მ. ლადიძის გამოცემული წიგნ[...]

რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა 1[...]
ნათელა, პოემა აკაკისა . 20
ანამზრდელი, მისივე . [...]
გოდა . . . . . . 5[...]
საუკეთესო ლექსა კრება . 5[...]
არო, დ. მაჩხანელისა . 3[...]

იბეჭდება და მალე გამოვა გასს[...] პოემების კრებული

ჩ[...] რდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი . . . 5[...]

(50—1[...])